



მცირე მდინარეების დაბინძურების წყაროები

გორდაძე ე., ჟორჯოლიანი ც.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 საქართველოს ეკოლოგიური მეცნიერებათა აკადემია

ანოტაცია: მცირე მდინარეების დაბინძურება ნავთობპროდუქტებით, გაუწმენდავი ჩამდინარე წყლებით, საყოფაცხოვრებო მყარი და თხევადი ნარჩენებით და სხვა. იწვევს დიდი მდინარეების და ბოლოს შავი ზღვის დაბინძურებას. ნაშრომში განხილულია დასავლეთ საქართველოს მცირე მდინარეების: ოლასკურა, რუა და ჩხერიმელას ეკოლოგიური მდგომარეობა.

საკვანძო სიტყვები: მდინარეები, დაბინძურება

საქართველოს რელიეფი. კლიმატური პირობები და გრუნტის წყლების სისშირე იწვევს ტერიტორიის მდინარეებით დაქსეფვას. საქართველოში სულ 2626 დიდი და მცირე მდინარე გაედინება. მცირე მდინარეებით დაქსეფილია საქართველოს (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს) ტერიტორია მათი დაბინძურება იწვევს დიდი მდინარეების და ბოლოს შავი ზღვის დაბინძურებას. ჩვენ დღეს შეგვხვებით დასავლეთ საქართველოს რამდენიმე, მცირე მდინარის ეკოლოგიურ მდგომარეობას, მსგავსი მდგომარეობაა სხვა მცირე მდინარეებშიც.

მდ. ოლასკურა, ეს პატარა თითქოს უწყინარი მდინარე სათავეს იღებს სათაფლიას ნაკრძალის ტერიტორიაზე, გაედინება სათაფლიას ადკვეთილის ტერიტორიაზე, ჩაედინება პირველ მღვიმეში და გამოდის სათაფლიას მეოთხე მღვიმიდან. შემდეგ როგორც მიწის-ზედა მდინარე გაედინება სოფ. ბანოჯის ტერიტორიაზე, ჩაუვლის ავტოქარხნის დასახლება და უერთდება მდინარე გუბისწყალს. მდინარე საზრდოობს მიწისქვეშა და ატმოსფერული წყლებით. ახასიათებს მოდიდება ხანგრძლივი და ძლიერი წვიმების დროს. მდინარის ადიდებასა და კალაპოტიდან გადმოსვლას ხელს უწყობს მდინარეზე გადადგმული ავტოფარეხები ცხოველთა სადგომები და საპირფარეშოები რაც იწვევს კალაპოტის ჩახერგვას და შევიწროებას. მდინარე დაწყებული სოფელ ბანოჯიდან შესართავამდე ბინძურდება ადამიანთა და შინაურ ცხოველთა ფეკალიებით, გაუწმენდავი თხევადი და მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენებით (ავტომანქანების საბურავები, პოლიეთილენის საყოფაცხოვრებო ნივთები, მცენარეთა ტოტები და ფოთლები, გადაყრილი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი). იმდენად დაბალია მდინარის გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეთა ეკოლოგიური განათლების დონე, რომ მიუხედავად მდინარის წყლით მათი საცხოვრებლების არაერთჯერ დატბორვისა მაინც განაგრძობენ მდინარის დაბინძურებას. საჭიროა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და მკაცრი სანქციები, რათა მდინარე გავაცოცხლოთ და დაუბრუნოთ პირვანდელი სახე და ფუნქცია.

ასეთივე მდგომარეობაშია ქუთაისის მეორე პატარა მდინარე რუა, რომელსაც წარსულში ადგილობრივი მოსახლეობა საბანაოდაც იყენებდა და მის კირქვის ფსკერიან კალაპოტში შემორჩენილია ადამიანის მიერ ხელოვნურად ამოკვეთილი აუზები. დღეს მდინარე რუა მკვდარია, საკანალიზაციო არხი უფროა ვიდრე მდინარე. მსგავს სიტუაციაში საქართველოს სხვა მცირე მდინარეები. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ მდინარე ჩხერიმელა იგი სათავეს იღებს ლიხის ქედის დასავლეთ კალთაზე 1150 მ. სიმაღლეზე დაბა ხარაგაულამდე იგი ძალზე პატარაა და მოსახლეობა მას ტორობელას ეძახის. მდინარის სიგრძე 39 კმ-ია. აუზის ფართობი 490კმ². ძირითადად გაედინება ხარაგაულის რაიონში.

ნის ტერიტორიაზე და სოფ. ძირულასთან უერთდება მდინარე ძირულას. საზღვრობს მიწისქვეშა და ატმოსფერული წყლებით. წყალდიდობა ახასიათებს გაზაფხულზე, თოვლის დნობის დროს - აპრილის ბოლოს, წყალმცირობა ზამთარსა და ზაფხულში. კალაპოტის სიგანე სათავესთან 1,5-2 მეტრია, შესართავთან 20-35 მ. დინება იცვლება 30-60 მ.წმ მას აუარება (656) მცირე შენაკადი ასაზღვრებს. მათგან შედარებით გამოირჩევა - 20. მის ძირითად დამაბინძურებულს წარმოადგენს გაუწმენდავი ჩამდინარე წყლები, მყარი ნარჩენები. ნავთობროდუქტები. რამეთუ მდინარის გასწვრივ მოსახლეობა მოკლებულია საკანალიზაციო სისტემას, ნარჩენების შესაგროვებელ კონტინერებს, ნარჩენების განსათავსებელ მოწყობილ პოლიგონებს. ამიტომ მდინარეზე გადადგმული საპირფარეშოებიდან და შინაურ ცხოველთა სადგომებიდან ფეკალიები და სხვა ნარჩენები უშუალოდ მდინარეში ხვდება. ასევე მდინარეში ჩაყრილი და ფერდობებზე დაყრილი მყარი ნარჩენები მდინარის კალაპოტში იყრის თავს. დიდად აბინძურებს მდინარე ჩხერიმელას დაბა ხარაგაულში, განლაგებული საყოფაცხოვრებო საწარმოებიდან (ხე-ტყის სახერხი ქარხნები, ავტოგასამართი სადგურები, ავტომანქანების სამრეცხაოები და სხვ.) გაუწმენდავი წყლის ჩაღვრა. დიდად აბინძურებს ნუნისის და ზვარეს სამკურნალო დაწესებულებებიდან გაუწმენდავი ნახშირი წყლები და ნავთობროდუქტები, რომელიც მდინარეში სარკინიგზო გზით ნავთობის გადაზიდვის დროს ხვდება. 2000 წ. 16 ივნისს სარკინიგზო ავარიის შედეგად, რომელიც სოფელ დიდვაკეში მოხდა. მდინარეში ჩაიღვარა დაახლოებით 0,12 ტონა ნავთობი. იმავე წელს ჩხერიმელაში ჩაიღვარა 1,13 ტონა, 2000 წლის ივლისი კვლავ სოფ. დიდვაკესთან მდინარეში ჩაიღვარა 53,362 ტონა ნავთობი. 2004 წლის 10 ოქტომბერს დაბა ხარაგაულთან ჩაიღვარა 2,86 ტონა ნავთობი. ასევე ხშირია, ნავთობის გადმოღვრა ვაგონებიდან განსაკუთრებით ზაფხულის ცხელ პერიოდში, როდესაც ცისტერნებში მაღალი ტემპერატურის გამო ნავთობი მოცულობაში მატულობს, ნავთობის ჩაღვრა ჩხერიმელაში არც თუ ისე იშვიათია რადგან სარკინიგზო მაგისტრალი მდინარეს მთელ პერიმეტრზე გასდევს. დღეს მდინარე ჩხერიმელას ერთ-ერთ დიდ დამაბინძურებულად ითვლება რკინიგზის ახალი ხაზის მშენებლობა. რომელიც 4 წელიწადია მიმდინარეობს. სამუშაოებს ასრულებს ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიურო. რომლის საქმიანობა მთლიანად უგულებელყოფს ეკოლოგიურ და გარემოსდაცვით მოთხოვნებს. ხდება კლდეების აფეთქება და ჩამოშლა, ტყის ჩეხვა, სამთო მასალის მდინარის პირზე დასაწყობება, საიდანაც წვიმების დროს ქვიშა მდინარეში ჩაირეცხება და ქმნის მდინარის ჩახერგვის საფრთხეს. ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონია 2017 წლის გაზაფხულზე რამაც საფრთხე შეუქმნა ადგილობრივ მოსახლეობას. მცირე მდინარეების დაბინძურებისაგან დაცვა ნიშნავს არა მარტო საქართველოს არამედ შავი ზღვის აუზის ქვეყნების დაცვას. ამიტომ საჭიროა ხელისუფლებამ მიიღოს ქმედითი ღონისძიებები მათი გაჭუჭყიანების თავიდან ასაცილებლად.

საჭიროა მეტად ჩაერთოს მედია საშუალებები, განათლების სისტემა რათა მოსახლეობას აუმაღლდეს ინტელექტი ბუნების დაცვისადმი და მცირე მდინარეები ჩავაყენოთ ადამიანთა სამსახურში ისე რომ შევინარჩუნოთ მათი პირვანდელი სახე.

ლიტერატურა

ჯაოშვილი ვ., ქუთაისი - 1989 წ.

ჟორჟოლიანი ც., გორდაძე ე., ქუთაისის ეკოლოგიური პრობლემები

ჟორჟოლიანი ც., გორდაძე ე., ბუნების დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება 2010 წ.

გორდაძე ე., ჟორჟოლიანი ც., ჩხეიძე თ., სათაფლიას სახელმწიფო ნაკრძალი 2007 წ.

THE SOURCES OF THE RIVER POLLUTION

Gordadze E., Zhorzholiani T.

Summary: The pollution of the small rivers by petroleum products, dirty sewages and household things which are solid and liquid causes the pollution of the big rivers and the Black sea. There is reviewed in the book the ecological condition of the small rivers of Georgia such as Oghaskura, Rua, Chkherimela.